

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლა

თამარ მინდაძე

ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების დიაგნოსტიკა , პროფილაქტიკა და

მკურნალობა ადენოიდების მქონე პაციენტებში

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია ისეთი აქტუალური საკითხი, როგორც არის ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების კავშირი ადენოიდების ჰიპერტროფიასთან, რაც თავის მხრივ, იწვევს ცხვირით სუნთქვის გაძნელებას. ამ უკანასკნელს თან ახლავს ენის, ლოყისა და ტუჩის კუნთების ფუნქციის მოშლა. პირით სუნთქვის ხანგრძლივად არსებობას მიყვარათ ბავშვის განვითარების სერიოზულ დარღვევებამდე. თუ პრობლემას შევხედავთ ორთოდონტიული კუთხით, პირით სუნთქვის მქონე პაციენტს აქვს დამახასიათებელი „ადენოიდური სახის“ ტიპი. ამ დროს სახის ქვედა მესამედი დაგრძელებულია, ქვედა ყბა მდებარეობს დისტალურად, სახეზეა ზედა და ქვედა საჭრელების პროტრუზია, ზედა ყბის კბილთა რკალის შევიწროვება, გოტიკური სასა, თანკბილვის ანომალიები, და ბოლოს მივდივართ ყბა-კბილთა სისტემის ჩონჩხოვან დარღვევებამდე.

სტატისტიკური მონაცემებით ადენოიდების მქონე პაციენტებში ყბა-კბილთა სისტემის ანომალიები გვხვდება 43.84%-ში 1-7 წლამდე და 93.7%-ში 7-14 წლამდე.

ლიტერატურის სიმრავლის მიუხედავად, საჭიროა განახლებული თანამედროვე სისტემების შექმნა, რომლებიც შეისწავლის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს ყბა-კბილთა სისტემის ანომალიებსა და ადენოიდების ჰიპერპლაზიას შორის.

ნაშრომი შედგება შემდეგი ნაწილებისგან: შესავალი, ლიტერატურული მიმოხილვა, კვლევის მასალა და მეთოდები, კვლევის შედეგები და მათი განხილვა, დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

მოცემული კვლევის მიზანია: ჰიპერპლაზიური ადენოიდების არსებობით გამოწვეული ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების მქონე პაციენტების დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის მეთოდების სრულყოფა.

მასალა და მეთოდები: ჩვენ გამოვიკვლიეთ ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების მქონე 135 ბავშვი, რომელთაგან 85 აღენიშნებოდა ადენოიდების არსებობა.

დასკვნა: ამრიგად, აუცილებელია ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების განვითარებასა და ადენოიდების ჰიპერპლაზიას შორის კავშირის დადგენა, დიაგნოსტიკისა დამკურნალობისთვის თანამედროვე ალგორითმების შექმნა, რადგან მხოლოდ ორთოდონტებისა და ოტორინოლარინგოლოგების ერთობლივი მუშაობის შედეგად არის შესაძლებელი ამ კომპლექსური პრობლემის მოგვარება.